საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**136** ამხ. ჯ. გ. მხეიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“ საპატიო წოდების მიწოდების შესახებ

რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მშენებლობის განყოფილების გამგეს ამხ. ჯუანშერ გიორგის ძე მხეიძეს მიენიჭოს საპატიო წოდება საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 აპრილი.

№ 19—XI





საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება  
 137 ამხ. პ. პ. ნასყიდაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერ-  
 ბის დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების  
 შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და  
 აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს სასოფლო-სამე-  
 ურნეო ინსტიტუტის პრორექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქ-  
 ტორს, პროფესორ პეტრე პავლეს ძე ნასყიდაშვილს მიენიჭოს საპატიო წოდე-  
 ბა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 აპრილი.

№ 20—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

138 ამხ. ი. ს. კოჯაევისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამ-  
 სახურებელი მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობი-  
 სათვის გაზეთ „სოვეთონ ირისთონის“ რედაქციის განყოფილების გამგეს ამხ.  
 ისიდორე სოფრონის ძე კოჯაევს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს  
 სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.


თბილისი, 1985 წლის 24 აპრილი.

№ 24—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

139 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის  
 მიენიჭოთ საპატიო წოდება:



„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“

**გაბაშვილს** დავით ალექსანდრეს ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგეს.

**გაბიტაშვილს** დავით დიმიტრის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს.

**დუგლაძეს** ვახტანგ ვალერიანის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

**ერისთავს** დიმიტრი ვახტანგის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

**თოთიბაძეს** გიორგი კონსტანტინეს ძეს — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის თბილისის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელს.

**იაშვილს** რევაზ იოსების ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს.

**კალანდაძეს** ედმონდ ლავროსის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

**მიქაბაძეს** დიმიტრი შოთას ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს.

**ხუნდაძეს** ჯიბსონ ხარიტონის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხატვის მასწავლებელს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

**სპარსიაშვილს** ავთანდილ გიორგის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

**ცუხიშვილს** რომუალდ აპოლონის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“

**ამირხანოვას** მარლენა შამირის ასულს — მხატვარ-ფერმწერს.

**ბაკურიძეს** ავთანდილ ახმედის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

**ბაიახჩევს** ლევ სერგოს ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

**დოლენჯაშვილს** გურამ ნიკოლოზის ძეს — მხატვარ-გრაფიკოსს, ქ. ქუთაისი.

**ვანეევს** ალექსანდრე დიმიტრის ძეს — გამომცემლობა „ირისტონის“ მხატვრულ რედაქტორს.

**კაკუკაიშვილს** ომარ ვლადიმერის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

**მალრაძეს** ვახტანგ რომანის ძეს — მხატვარ-მოქანდაკეს.

**მალრაძეს** დიმიტრი გიორგის ძეს — მხატვარ-გრაფიკოსს.

**მირზაშვილს** ჯემალ გიორგის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

**ნიაურს** სერგო ვასილის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

**ჟორდანიას** არჩილ ყაისარის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

სენსიაშვილს ოთარ ივანეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტ სინარულიძეს იმბურგ იოსების ძეს — მხატვარ-ფერმწერს.  
ტურმანოვს დიმიტრი გიორგის ძეს — ცხინვალის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგს.

ჩოგოვაძეს არჩილ ივანეს ძეს — ქუთაისის სამხატვრო საწარმოო სახელოსნოს დირექტორს.

ცალქალამანიძეს მიხეილ მიხეილის ძეს — ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კაბინეტის გამგეს.

ცვიუბას ბესარიონ აკუნის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

წერეთელს გიორგი ვალაქტიონის ძეს — საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთავარ მხატვარს.

კალანდაძეს ედმონდ ლავროსის ძეს — მხატვარ-ფერმწერს.

ხუციშვილს თამაზ გრიგოლის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

ჭაფარიძეს გიორგი ზურაბის ძეს — მხატვარ-მოქანდაკეს.

### „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ვაჩიშვილს გივი აკაკის ძეს — საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების დირექტორს.

კვიციანიშვილს მარიამ კარაპეტის ასულს — საქართველოს მხატვართა კავშირის მთავარ ბუღალტერს.

ხოფერიას იზოლდა უშანგის ასულს — საქართველოს მხატვართა კავშირის კონსულტანტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 29 აპრილი.

№ 30—XI


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**140** რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მიწიჭების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი წყნადიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

დავითაშვილს უშანგი ვასილის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს.



**ლომიძეს** რევაზ არჩილის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსს.

**ობოლაძეს** შოთა ტერენტის ძეს — წყალტუბოს მებოსტნეობის საცდელი სადგურის განყოფილების გამგეს.

**ტალახაძეს** შოთა სერგოს ძეს — თელავის მცენარეთა დაცვის სარაიონ-თაშორისო სადგურის უფროსს.

**„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“**

**შარაშენიძეს** ოქროპირ ანთიმოზის ძეს — ჩოხატაურის რაიონის სოფ. ჩა-ისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

**კირვალიძეს** ვახტანგ ისიდორეს ძეს — საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აპრილი.

№ 37—XI

საპარტიველო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**141** ამხ. შ. მ. დადიანიხათვის „საპარტიველო სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს ამხ. ქეთევან მიხეილის ასულ დადიანს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აპრილი.

№ 39—XI



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**142** ქართული ზედური ხელოვნების შედგენის — „წმინდა თეოდორე დორას“ ხატის აღვილსამყოფელის დადგენისა და სამშობლოში დაბრუნების საქმეში წვლილისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1978 წელს მესტიის რაიონის ეკლესიიდან გატაცებული ქართული ჰედური ხელოვნების შედგენის — „წმინდა თეოდორეს“ ხატის აღვილსამყოფელის დადგენისა და სამშობლოში დაბრუნების საქმეში წვლილისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ადამიშინი ანატოლი ლეონიდის ძე — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე.

ბუტურლინი ალექსი ვლადიმერის ძე — სსრ კავშირის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს ყოფილი უფროსი (ამჟამად უზბეკეთის სსრ პროკურორი).

ილარიონოვი ვლადიმერ პეტრეს ძე — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

ნიკოლაევი ანატოლი ნიკოლოზის ძე — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების გამგე.

ხოროშილოვი პავლე ვლადიმერის ძე — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.


თბილისი, 1985 წლის 9 აპრილი.

№ 8—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**143** ამხ. გ. დ. შიფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განყოფილების გამგე ამხ. გივი დომენ-



ტის ძე ყიფიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 აპრილი.

№ 7—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათ

**144** ამხ. ა. ა. ერმაშკევიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გაზეთ სოვეტსკაია აზნა-ზიჰს“ რედაქტორი ამხ. ანდრია ანდრიას ძე ერმაშკევიჩი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 17 აპრილი.

№ 15—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათ

**145** ამხ. კ. დ. კურტანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამოქალაქო ავიაციის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ავიასა-წარმოს მეთაური — სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს აერობორტის უფროსი ამხ. კუკური დიმიტრის ძე კურტანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 17 აპრილი.

№ 13—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**146** ამხ. გ. ს. მალცევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში საშენი მასალების, სათბობისა და კვების პროდუქტების გადაზიდვის დიდი და რთული სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის სამოქალაქო ავიაციის კომის სამმართველოს უხტის ავიასაწარმოს მფრინავი ამხ. გენადი სტეფანეს ძე მალცევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 17 აპრილი.

№ 16—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**147** ამხ. ე. გ. ჩხელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, სახელმწიფო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ელგუჯა ბენიამინის ძე ჩხელაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.


თბილისი, 1985 წლის 17 აპრილი.

№ 12—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**148** ამხ. რ. ა. ავაქოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომ-



პარტიის ლაგოდების რაიკომის საერთო განყოფილების გამგე ამხ. როზა არშაკის ასული ავაქოვა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 აპრილი.

№ 22—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**149** ამხ. გ. ტ. გოგოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქიმიური მრეწველობის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ზოტის“ დირექტორი ამხ. გიორგი ტროფიმეს ძე გოგოლაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 აპრილი.

№ 17—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**150** ამხ. გ. ე. ჭკუასაღის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი შოღვაწეობისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი ამხ. გრიგოლ ეგვენის ძე ჭკუასელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 აპრილი.

№ 21—XI



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**151** ამხ. ა. პ. ხოზუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჭიათურის მანგანუმის წარმოების განსავითარებლად ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს სრულიად საკავშირო საწარმოო გაერთიანება „სოიუზრუდის“ საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ მთავარი ინჟინერი ამხ. არჩილ პიმენის ძე ხოზუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 აპრილი.

№ 18—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**152** გაზეთ „სოვეთონ ირისთონის“ რედაქციის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „სოვეთონ ირისთონის“ 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბაბაევი ვიქტორ დანიელის ძე — განყოფილების გამგე.

გაბარაევა ზინაიდა კონსტანტინეს ასული — კორექტორი.

თედეევა იულია დავითის ასული — კორესპონდენტი.

პლიევი სოკრატ ვლადიმერის ძე — გამომწვევი რედაქტორი.

ჭაბულოვა ბარბარე დავითის ასული — კორექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 24 აპრილი.

№ 27—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**153**

ამხ. ო. ი. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების საშოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მმართველი ამხ. ოთარ იოსების ძე ჩარკვიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აპრილი.

№ 38—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**54**

ამხ. გ. ზ. ჭარაქაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სოფლის მეურნეობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გივი ბაგრატიის ძე ჭარაქაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აპრილი.

№ 36—XI

## საპარტეზლოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

1985 წლის 4-5 აპრილს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ მე-თერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა ს. ვ. ღურმიშიძემ.

უხუცესთა საბჭოს დავალებით დეპუტატმა გ. ნ. ენუქიძემ შემოიტანა პარტიული ჯგუფის მიერ მოწონებული წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ დეპუტატ ი. ბ. აბაშიძის არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან დეპუტატები ნ. ვ. გურგენიძე, ე. ჩ. კვარჩია, ა. ქ. ლალიაშვილი, ბ. ბ. ტეხოვი.

დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა.
6. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარების, მასებთან მათი კავშირის გაძლიერების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში, ორგანიზებულობის ამაღლებაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში დეპუტატთა ფორმირებების როლის გააქტიურების შესახებ.
7. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნა.
8. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევა.

დეპუტატებმა დაამტკიცეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა რეგლამენტი.

არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია, თავმჯდომარედ — დეპუტატი შ. ვ. ყარყარაშვილი; მოსმენილ იქნა მისი მოხსენება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების შესახებ.

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 440-ვე დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ განიხილა დღის წესრიგის მომდევნო საკითხი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით შემოიტანა უმაღლესი საბჭოს პარტიული ჯგუფისა და უზუცესთა საბჭოს მიერ მოწონებული წინადადება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ დეპუტატ პ. გ. გილაშვილის არჩევის შესახებ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დეპუტატი პ. გ. გილაშვილი. მან შემოიტანა წინადადება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად კვლავ არჩეულ იქნენ დეპუტატები ვ. მ. სირაძე, ვ. ო. კობახია და დ. დ. დიასამიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად — დეპუტატი თ. ვ. ლაშქარაშვილი.

არჩეული იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 14 წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადება იმის შესახებ რომ რესპუბლიკის მთავრობა იხსნის თავის უფლებამოსილებას საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი ე. ა. შევარდნაძე. მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით შემოიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პარტიული ჯგუფის და უზუცესთა საბჭოს მიერ მოწონებული წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ დეპუტატ დ. ლ. ქართველიშვილის არჩევის შესახებ; მასვე დაევალა რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს მოსაზრებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის თაობაზე.

სესიამ შექმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები, წინადადება ამ საკითხზე შემოიტანა დეპუტატმა თ. შ. კაბულოვამ სამინდატო კომისიის გარდა არჩეულია საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს 17 მუდმივი კომისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი თ. ვ. ლაშქარაშვილი, მიღებულია შესაბამისი კანონი და დადგენილებები.

სესიაზე დეპუტატმა გ. ს. ვაჩეჩილაძემ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის ნ. ნ. ნეფედოვისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ზ. შ. მესხიშვილის წინაშე შეკითხვის წესით დააყენა საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებები ზორციელდება მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. საკითხი შეტანილი იქნა სესიის დღის წესრიგში. ამხ. ამხ. ნ. ნ. ნეფე-





დოესა და ზ. შ. მესხიშვილს დაევალით სესიის შემდეგ სხდომაზე უპასუხონ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე.

ამით 5 აპრილს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მუშაობა დაამთავრებენ. 6 აპრილს საქართველოს სსრ მეტერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ განაგრძო მუშაობა.

განხილულ იქნა საკითხი რესპუბლიკის მთავრობის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ. სიტყვიერ გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი დ. ლ. ქართველიშვილი. მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა, რომელიც მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პარტიულმა ჯგუფმა და უზუცესთა საბჭომ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა. ამის შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადებით მისი მომავალი საქმიანობის შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი.


სესიაზე მოხსენება — რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარების, მასებთან მათი კავშირის გაძლიერების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში, ორგანიზებულიობის ამაღლებაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში დეპუტატთა ფორმირების როლის გააქტიურების შესახებ — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გ. გილაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში სიტყვიერ გამოვიდა თერთმეტი დეპუტატი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას პარტიული ჯგუფისა და უზუცესთა საბჭოს დავალებით შემოაქვს წინადადება შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი. სესია ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობას დეპუტატ ო. ვ. მელქაძის თავმჯდომარეობით.

შემდეგ სესიამ განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის საკითხი. პარტიული ჯგუფისა და უზუცესთა საბჭოს დავალებით ამ საკითხზე წინადადება შემოიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ვ. მ. სირაძემ. უმაღლესმა საბჭომ აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა დეპუტატ ა. გ. კარანაძის თავმჯდომარეობით.

დეპუტატ გ. ს. ვაჩეჩილაძის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე სესიაზე უპასუხეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ნ. ნ. ნეფედოვმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. შ. მესხიშვილმა. საკითხის განხილვაში მო-



ნაწილობა მიიღეს დეპუტატებმა დ. ნ. მაისურაძემ და გ. ს. აბუნიძემ. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა დაამთავრა.

### საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაში

4 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. მოისმინა რა პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების ინფორმაცია „1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსული მოქალაქეთა მიმართების განხილვის მდგომარეობის შესახებ“, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს და უწყებებს, სამამულო ომის მონაწილეთა, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მათ მიმართ-ვებში აღძრული საკითხების მოსაგვარებლად გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, კვლავ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი და მათი საქმიანობა ამ მიმართულებით ვერ უზრუნველყოფს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებათა შესრულებას.

დიდი სამამულო ომის მონაწილეებს და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს ადგილებზე ჯერ კიდევ აკლიათ ყოველდღიური ყურადღება, მზრუნველობა და მორალური მხარდაჭერა. შეინიშნება მათი მომარაგებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულების ცალკეული ფაქტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების მოხსენებითი ბარათი დაეგზავნათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებს სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს და დაევალოთ მათ:

— დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ომის მონაწილეთა, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მიმართებს; მიაღწიონ მათში დაყენებული საკითხების ადგილებზე სრულყოფილად შესწავლას და ოპერატიულად გადაწყვეტას, მათი გამომწვევი მიზეზების გამოვლენა-აღმოფხვრას; აღკვეთონ ომის ვეტერანთა თხოვნისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები, უცილობლივ შეასრულონ მათ



მიმართვებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებები, დაპირებები; ამ მუშაობაში უფრო აქტიურად მიიზიდონ მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები;

— მეტი გულისხმიერება და მზრუნველობა გამოიჩინონ დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისადმი; გულდასმით შეისწავლონ ადგილებზე მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, საჭირობოთო საკითხები და განახორციელონ ქმედითი ზომები მათს მოსავგარებლად; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კომუნალური, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეს, ომის ვეტერანების და ინვალიდების შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას და მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას;

— სათანადო კონტროლი დააწესონ აპარატსა და მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის კანონით დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობათა სრულად განხორციელებისადმი; მკაცრად მოსთხოვონ პასუხი იმ პირთ, რომლებიც უყურადღებოდ და უსულგულოდ ეკიდებიან, გაუმართლებლად აჭიანურებენ და არასწორად წყვეტენ მათ მიმართვებში დაყენებულ საკითხებს;

— ყოველდღიური კონტროლით უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სხვა ზემდგომი ორგანოებიდან გადაგზავნილი განცხადება-საჩივრების ადგილებზე ობერატიულად შესწავლა-გადაწყვეტა და მათზე სრულყოფილი პასუხების გაცემა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა თბილისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო, თბილისის პირველი მაისის, კიროვის, 26 კომისიის სახელობის, საქარხნო, თეთრი წყაროს, გურჯაანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის და ვაჭრობის სამინისტროების, ტელევიზორების ქარხანა „ეკრანის“ ხელმძღვანელობა ყოველთვის სათანადო გულისხმიერებით და პასუხისმგებლობით არ ეკიდება დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და ინვალიდების განცხადებებსა და მიმართვებს.



სხდომამ მოისმინა დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. წიკლაურის და წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. თ. კუხალაშვილის ინფორმაციები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თანამოსწენება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად დუშეთისა და წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო-



ების საქმიანობის შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ორივე რაიონის საბჭოების აღმასკომები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ. რადიო-ტელევიზიონობამ ისარგებლოს კონსტიტუციით მინიჭებული მატერიალური უზრუნველყოფის უფლებით.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ღუშეთისა და წულუკიძის რაიონებში მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ღუშეთისა და წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (თავმჯდომარეები ამხ. ამხ. გ. წიკლაური, ჯ. კალანდაძე):

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააძლიერონ ზრუნვა მოსახლეობის სოციალური მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

— მეტი კონტროლი გაუწიონ სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის დაცვას, ამ საქმეში მიიზიდონ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი; მიაღწიონ, რომ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში ამ მუშაობას ექცეოდეს ყოველდღიური ყურადღება;

— განუხრელად იზრუნონ დიდი სამამულო ომის ინვალიდების, ომის მონაწილეებისა და ფრონტზე დაღუპულთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების განხორციელება;

— მიაღწიონ, რომ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ადგილებზე დროულად და სწორად წყვეტდნენ მოქალაქეთათვის პენსიების დანიშვნისა და დახმარებების მიცემის საკითხებს, სისტემატურად განუმარტავდნენ მოსახლეობას კანონმდებლობას ამ დარგში;

— წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს რეკომენდაცია მიეცა მიიღოს ზომები სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (ამხ. კ. გარდაფხაძე) დაევალა:

— გააძლიეროს დახმარება და კონტროლი რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობისადმი;

— განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი მოსახლეობის სოციალური მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, სისტემის კადრების საქმიანი კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, დაქვემდებარებულ დაწესებულებებში საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ბიუროკრატიზმის, უსულგულობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად.

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა სხვა საკითხებიც.



6 აპრილს გამართულმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაში, მოისმინა რა საკითხი საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ, აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში წლიგანდელი წლის თებერვალ-მარტში გამართულმა მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ყველა ადგილობრივი საბჭოს პირველმა სესიებმა ჩაიარა დეპუტატთა მაღალი ორგანიზებულობის აქტიურობის ატმოსფეროში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილისა და 1985 წლის მარტის პლენუმებით დასახული საბჭოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფისა და განვითარების კურსის განუხრელი განხორციელების ვითარებაში.

სესიებმა ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა, მათი პატრიოტული მისწრაფება — ახალი შრომითი მიღწევებით შეხედნენ სკკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, ღირსეულად აღნიშნონ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავი.

სესიების მუშაობაში 50.925 არჩეული დეპუტატიდან მონაწილეობდა თითქმის ყველა, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები და ბიუროს წევრები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და მეურნეობების, სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კულტურისა და განათლების მუშაკები.

სესიებზე არჩეულ იქნა ერთი საოლქო, 65 — რაიონული, 61 — საქალაქო, 12 — ქალაქის რაიონული, 47 — სადაბო და 939 სასოფლო საბჭოს აღმასკომი.

კანონმდებლობის შესაბამისად სესიებზე არჩეულ იქნა სამანდატო კომისიები, შეიქმნა აგროსამრეწველო ვაერთიანებები, საგეგმო კომისიები, აღმასკომთა განყოფილებები და სამმართველოები, სახალხო კონტროლის კომიტეტები, მუდმივი კომისიები და დეპუტატთა ჯგუფები, დამტკიცებულ იქნენ მათი ხელმძღვანელები.

წინა მოწვევასთან შედარებით გაუმჯობესდა აღმასკომთა ხარისხობრივი შემადგენლობა. ამჟამად ყველა დონის საბჭოების აღმასკომების უმაღლესი განთლების მქონე თავმჯდომარეთა რიცხვი გაიზარდა 3,5 პროცენტით, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე აღმასკომების წევრთა რიცხვი — 2 პროცენტით. აღმასკომების შემადგენლობაში არჩეულ დეპუტატთა შორის მუშები და კოლმეურნეები შეადგენენ 29,8 პროცენტს, უპარტიოები — 24,3 პროცენტს.

აღმასკომების წევრთა შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა რიცხვი. მაგალითად, არჩეულია



1071 ინჟინერი და ეკონომისტი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის 1.510 სპეციალისტი, 1.800 მასწავლებელი.

ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე შეიქმნა 6.114 მუშაკის მისია, მათში გაერთიანებულია 41.375 დეპუტატი, ანუ მათი საერთო რაოდენობის 81,3 პროცენტი.

პირველმა სესიებმა შესასრულებლად მიიღეს ამომრჩეველთა 16.562 განაწესი და დაამტკიცეს მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმები.

ორგანიზაციული საკითხების გარდა საბჭოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ პირველ სესიებზე განიხილა მოსახლეობის საბინაო-კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის ამოცანები. განხილულ იქნა აგრეთვე ეკონომიკის მართვისათვის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად საბჭოების საქმიანობის სრულყოფის საკითხები, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურად გამოყენების, სოციალისტური კანონმდებლობისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემები.

დეპუტატები მაღალი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის პოზიციებიდან გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებსა და კონკრეტულ წინადადებებს მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროს გაუმჯობესების საქმეში საბჭოების, მათი აღმასკომების, ყველა დეპუტატთა ფორმირების როლის შემდგომი ამაღლების თაობაზე, მიუთითებდნენ არსებულ რეზერვებზე, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების უფრო ეფექტიანად გადაწყვეტის შესაძლებლობებზე.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი საბჭო გულმოდგინედ არ მოემზადა სესიის ჩასატარებლად, დაბალი იყო დეპუტატთა აქტიურობა. როგორც საქართველოს სსრ მეტერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე აღინიშნა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში არსებითი ნაკლოვანებებია. ზოგიერთი საბჭო ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებს თავის უფლებამოსილებას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობისათვის, არ იჩენს საჭირო ინიციატივასა და სიმტკიცეს მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპების დასაჩქარებლად ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის გამოყენებაში, ყველგან ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს მოსახლეობის კომუნალური, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაცია. შემდგომ სრულყოფას საჭიროებს საბჭოების მუშაობა კონტროლის გაძლიერებისა და შესრულების შემოწმებისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ღონის ასამაღლებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, ამასთან ურჩია მორიგ სესიებზე რესპუბლიკის საბჭოს და მისი კომიტეტების გაფართოებულ სხდომებზე განიხილონ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის შედეგები და შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებში, პრეზიდიუმის მოხსენებაში, სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში დასახული ამოცანების განსახორციელებლად.


პრეზიდიუმმა, განიხილა რა საკითხი საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესახებ, აღნიშნა, რომ განაწესები მოიცავს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, საბჭოთა, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების, მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის დარგების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის თანამიმდევრულად ამაღლების, შინაგანი რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისა და სხვა აქტუალურ საკითხებს, რომელთა დადებითი გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ ზრდას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების მნიშვნელოვანი ნაწილი შესასრულებლად მიღებულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ და ასახულია პირველ სესიებზე დამტკიცებულ ღონისძიებათა გეგმებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხელმძღვანელობს რა საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ სსრ კავშირის კანონით და „ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით, ადგენს:

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესები გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და მათი შესრულებისათვის სათანადო ღონისძიებების განსახორციელებლად.





საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შესასრულებლად მიღებული განაწესების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებით უმს 1985 წლის 10 მაისამდე.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა განიხილეს მათ კომპეტენციაში შემავალი განაწესები და სარეალიზაციოდ დასახეს შესაბამისი ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა ამომრჩეველთა განაწესების შესრულება მიიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად, დააწესონ ქმედითი კონტროლი განაწესების შესრულების მიმდინარეობისადმი და ყოველწლიურად, 1 თებერვლისათვის, სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს;

განაწესების შესრულებისას მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი საშუალებები და რესურსები, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა, ამასთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინონ განაწესების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

რჩევა მიეცეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებისათვის მოსახლეობის ფართოდ დარაზმვაში; პერიოდულად შეამოწმონ სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში მათ მიერ დაყენებულ საკითხებზე რეაგირების მდგომარეობა და შედეგები აცნობონ ამომრჩეველს.

დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას კონტროლი დააწესოს ამ დადგენილების შესრულებისადმი და ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

\* \* \*

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხები: აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოსა და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში 1984 წელს მოქალაქეთა მიმართების განხილვის შესახებ, საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ და სხვ.

**ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 5 აპრილის ბრძანებულებით წალენჯიხის რაიონის ჯვარის საქალაქო საბჭოს გამოეყო სოფელი ლეშამუგე და მიეკუთვნა ჩქვალერის სასოფლო საბჭოს.